


დავით გურგენიძე, დავით გორგიძე



ილია ვეკუა ალექსი გორგიძე

„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დაგით გურგენიძე, დავით გორგიძე

0. გეგშა, ა. ბორგიძე

110



რეკომენდებულია საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
მიერ. 06.12.2017, ოქთი №3

თბილისი
2017

განგების ძალით ისე მოხდა, რომ 2017 წელს, შესაბამისად აპრილსა და მაის-შე, ნიკოლოზ მუხელიშვილის სახელგანთქმული ქართული სკოლის ორ თველ-საჩინო წარმომადგენელს – აკადემიკოს ილია ვეგუასა და პროფესორ ალექსი გორგიძეს შეუსრულდათ დაბადებიდან 110 წელი. მაგრამ მთილოდ ეს თარიღი როდი აერთოანებდა მათ. 1924–1929 წლებში ისინი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ფიზიკა-მათემატიკური განყოფილების სტუდენტები და ბრწყინვალე მათემატიკის-პედაგოგის ოთხეულის: ანდრია რაჭაძეს, ნიკო მუხელიშვილის, გიორგი ნიკოლაძისა და არჩილ ხარაძის მოსწავლეები იყვნენ.

თანაკურსელები სიცოცხლის ბოლომდე ჰეგობრებად დარჩნენ.

Волею судьбы случилось так, что в 2017 году, соответственно в апреле и мае, исполнилось 110 лет со дня рождения замечательных представителей прославленной грузинской научной школы великого Николая Мусхелишвили – академика Ильи (Илико) Векуа и профессора Алексея (Алехи) Горгидзе. Но не только эта круглая дата роднит их. В 1924–1929 годах на физико-математическом факультете Тбилисского государственного университета они были сокурсниками, слушателями блестящей четверки преподавателей – математиков Андрия Размадзе, Николая Мусхелишвили, Георгия Николадзе и Арчила Харадзе, сохранив до конца своих дней приятельские отношения.

It is by the will of fate that two prominent representatives of Nikoloz Muskhelishvili famous school - Academician Ilia Vekua and Professor Alexi Gorgidze are 110 years old in 2017, April and May respectively.

But they are related to each other not only by this date. They were students of the brilliant mathematics teachers group: Andria Razmadze, Niko Muskhelishvili, George Nikoladze and Archil Kharadze, of Physics and Mathematics Branch at Education Department of Tbilisi State University in 1924 – 1929.

The same year students were remained friendship until the death.

რეცენზებები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ ცაცაქიშვილი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი ქოვანი მახაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი მაკ ხართიშვილი

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2017

ISBN 978-9941-20-952-9

<http://www.gtu.ge>


ეველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეძლება გამოიცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე. საუცილო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

წიგნში მოყვანილი ფატების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები.

ავტორის/ავტორთა პასუხისმგებელია არ გმოცვლის საგამომცემლო სახლის პოზიცია.



Verba volant,
scripta manent



ნ. მუსხელიშვილი



ი. გეგუა



ა. გორგიძე



მარჯვნიდან: ნ. მუსხელიშვილი და ი. გეგუა



მარჯვნიდან: ნ. მუსხელიშვილი და ა. გორგიძე

• В С.-Петербургском (Ленинградском) Университете
на физико-математическом факультете
в 10-30 годы XX века под руководством выдающихся русских
ученых Д.И.Бобылева, Г.В.Колосова, И.М.Виноградова,
Н.Е.Кочина, А.И.Крылова, В.И.Смирнова,
С.Г.Михлина
проходила обучение первая группа известных грузинских
ученых-математиков
Н.И.Мусхелишвили, К.К.Марджанишвили, В.Д.Купрадзе,
И.И.Векуа, Ш.Е.Микеладзе, А.Я.Горгидзе, Д.Е.Долидзе,
Я.Г.Мецхваришвили А.И.Рухадзе

მემორიალური დაფა სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში



სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ-
მასწავლებელთა ჯგუფი მემორიალურ დაფასთან



მარჯვნიდან: ნ. მუსხელიშვილი, ი. გეგუა,
დ. დოლიძე, ა. რუხაძე, ა. გორგიძე
სანკტ-პეტერბურგი, 1932 წ.



მარცხნიდან: ი. მეცხვარიშვილი, გ. გოგოლაძე, ი. გეგუა,
ა. გორგიძე, დ. დოლიძე



მარცხნიდან: ნ. მუსხელიშვილი, გ. ხაჟალია, დ. ვაშაკიძე,
ა. გორგიძე, ა. რაზმაძე, ა. ბარებლაია, ი. მეცხვარიშვილი,
გ. ნიკოლაძე, 1930 წ.



სხედან, მარცხნიდან: ა. მატრენოჩკინი, ნ. ელისეევი,
ა. ტალდიიქინი, კ. ბილევიჩი.
დგანან, მარცხნიდან: ი. მეცხვარიშვილი, ი. გინზბურგი,
ა. გორგიძე, პ. მაკაროვი, 1935 წ.

არიან ადამიანები, ღმერთისგან
მირონცხებულნი, რომლებიც მთელი
არსებით ატარებენ ერის ტრადიციებს,
მის ენერგიას, ტემპერამენტს, ნიჭსა და
სიბრძნეს, ერს მსოფლიო ასპარეზზე
წარმოაჩენენ. სწორედ ასეთ რჩეულთა
რიცხვს განეკუთვნებიან:

აკადემიკოსი ილია გებუა და
პროფესორი ალექსი გორგიძე

ՕԾՈՒՅ ՑԵԾՑԵՎ



Դ. ՅԱՆԴՐԻ

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ ქართული მათემატიკური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური სკოლების მსოფლიო აღიარებით. უდიდესი მადლიერებით და პატივისცემით მოვიხსენიებთ მათ ფუძემდებლებს ნიკოლოზ მუსხელიშვილს, ივანე ბერიტაშვილს, დიმიტრი უზნაძეს.

ამ სკოლებთან მრავალი სახელგანთქმული მეცნიერის სახელია დაკავშირებული. მათ რიცხვს უთუოდ განეკუთვნება თანამედროვეობის გენიალური მათემატიკოსი და მექანიკოსი, აკადემიკოსი ილია ვეკუა.

ილია ნესტორის ძე ვეკუამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიო მეცნიერების საგანძურში. მან წარუშლელი კვალი დატოვა არა მარტო როგორც გამოჩენილმა მეცნიერმა, არამედ როგორ მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების დიდმა ორგანიზატორმაც.

ილია ვეკუა დაიბადა 1907 წლის 23 აპრილს სამურზაყანოს ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ შეშელეთში ნესტორ ვეკუასა და ლიზა (მემუ) აბშილავას ოჯახში. 1925 წელს, ქ. ზუგდიდის საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1930 წელს და იმავე წელს სწავლა განაგრძო ლენინგრადის უნივერსიტეტის ასპირანტურაში.



ნესტორ გებუა (1881–1934)




ლიზა (მემუ) აფშილავა-გებუა
(1885–1926)



ილია გებუა – საშუალო სკოლის მოსწავლე

ასპირანტურის წლებში (1930–1933 წწ.) ა. კრილოვის,
ნ. მუსხელიშვილისა და ვ. სმირნოვის ხელმძღვანელობით
ი. ვეკუა ხდება მათემატიკური ფიზიკის განტოლებების
სპეციალისტი. კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეო-
რიის მეთოდების გამოყენებით მან შეისწავლა დრეკა-
დობის თეორიის სტატიკისა და დინამიკის მრავალი ამო-
ცანა, შექმნა მნიშვნელოვანი შრომები, რომლებიც მიეძღ-
ვნა პარალელური ბრტყელი საზღვრების მქონე უსას-
რულო ფენაში დრეკადი ტალღის გავრცელების თეორიას.
ეს შრომები საფუძვლად დაედო მის საპანდიდატო დი-
სერტაციას, რომელიც დაიცვა მოგვიანებით (1937 წ.).



ი. ვეკუა სსრ გაგშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი
ლენინგრადი, 1932 წ.

1933 წლის შემოდგომიდან ი. ვეკუა მუშაობს თბი-
ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის

ფაკულტეტის მეცნიერ თანამდებობაზე. ამ პერიოდში მათემატიკისა და მექანიკის პრობლემებზე (ნ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით) მუდმივმოქმედი სამეცნიერო-პკლევითი სემინარის ერთ-ერთმა აქტიურმა მონაწილემ, ი. ვეკუამ თავიდანვე მიიქცია ყურადღება. თეორიულ და გამოყენებით მათემატიკაში სამეცნიერო მიმართულებათა შორის ი. ვეკუას განსაკუთრებით იზიდავდა ელიფსური ტიპის კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორია და ამ თეორიის სხვადასხვა გამოყენება. ამ მიმართულებით ჩატარებული ინტენსიური გამოკვლევები, 1936 წ. დაწყებული, ორმოციან წლებში დასრულდა ორი დამოკიდებული ცვლადის შემთხვევაში ანალიზურკოეფიციენტებიანი ელიფსური კერძოწარმოებულებიანი წრფივი დიფერენციალური განტოლებების მწყობრი თეორიის შექმნით. ასეთი განტოლებების ამონასსნთა ზოგადი კომპლექსური წარმოდგენები, რომლებიც ი. ვეკუამ ააგო, ხელსაყრელი აღმოჩნდა ამ ამონასსნების ახალი თვისებრივი და სტრუქტურული თავისებურებების დასადგენად, აგრეთვე განტოლებათა ფართო კლასისა და სასაზღვრო ამოცანების შესასწავლად, რომლებსაც მანამდე ცნობილი მეთოდები არ შეხებია. ამ მიმართულებით ი. ვეკუას ნაშრომთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავმოყრილია მის მონოგრაფიაში „ელიფსურ განტოლებათა ამონების ახალი მეთოდები“, რომელმაც 1950 წელს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

ი. ვეკუამ შემოგვთავაზა დრეკადი გარსის თეორიის ახალი ვარიანტები, რომლებსაც კლასიკურ თეორიასთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ ამ ვარიანტებში დიფერენციალურ განტოლებებსა და სასაზღვრო პირობებს შორის მჭიდრო თავსებადობაა, თანაც გარსების ზოგიერთი კლასისათვის ეს დიფერენციალური განტოლე-

ბები სტრუქტურით ახლოსაა დრეკადობის თეორიის ბრტყელი ამოცანის კლასიკურ განტოლებებთან.

ი. ვეკუას მეთოდებს ავითარებენ და იყენებენ მისი მოსწავლეები. მათ ხშირად მიმართავენ მექანიკოსები, გეომეტრები და კერძოწარმოებულებიანი განტოლებების სპეციალისტები.

1939 წ. ი. ვეკუამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო 1940 წ. მას პროფესორის წოდება მიენიჭა. 1944 წ. ი. ვეკუა აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1946 წ. – ნამდვილ წევრად. 1940–1944 წწ. ი. ვეკუა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, 1944–1947 წლებში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სასწავლო ნაწილში, 1947 – 1951 წწ. – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი.

1951 წლის შემოდგომაზე ი. ვეკუა საცხოვრებლად გადავიდა მოსკოვში და მუშაობა დაიწყო ცენტრალური აეროჰიდროდინამიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგედ. იმავდროულად იგი იყო მოსკოვის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრის გამგე. 1952 წლის ბოლოს ილია ვეკუა აირჩიეს მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიფერენციალურ განტოლებათა კათედრის პროფესორად, ხოლო 1954 წელს დანიშნეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სტაგილოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ.

მოსკოვში ი. ვეკუამ გამოაქვეყნა შრომათა დიდი ციკლი განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიაში. ასეთი ფუნქციათა თეორიის აგების ცდა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყო იტალიელმა მათემატიკოსმა ე. ბელტრამიმ. ოცდაათიანი წლების დასაწყისში

ტ. კარლემანმა და ნ. თეოდორესკუმ აჩვენეს, რომ ერთი კომპლექსური ცვლადის ანალიზურ ფუნქციათა ბევრი თვისება გადადის, ორი დამოუკიდებელი ნამდვილი ცვლადის შემთხვევაში, პირველი რიგის ელიფსური ტიპის ორი დიფერენციალური განტოლებისაგან შედგენილი სისტემის ამოხსნაზე. ი. ვეკუამ შექმნა ზოგადი თეორია ისეთი სისტემებისა, რომლებიც ამჟამად წარმოადგენენ განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიის ძირითად შემადგენელ ნაწილს. თავისივე დადგენილი თეორემების გამოყენებით მან მიიღო მ. ლავრენტიევის მიერ აგებულ ბრტყელ არეთა კვაზიკონფორმულ ასახვათა გეომეტრიული თეორიის ანალიზური დასაბუთება, რაც უკანასკნელ ორმოცდათწლეულში აღიარებულია ფუნქციათა თეორიის ერთ-ერთ საუკეთესო მიღწევად. პირველი რიგის ელიფსურ სისტემათა თეორიის შედეგები, რომლებიც ი. ვეკუამ დაადგინა, შევიდა მის მონოგრაფიაში – „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“, რომელსაც 1963 წ. ლენინური პრემია მიენიჭა.

მოსკოვში ყოფნისას ი. ვეკუამ უშუალო მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების დაარსების პროექტის შემუშავებაში. იგი იყო ერთ-ერთი აქტიური წევრი მ. ლავრენტიევის მეთაურობით შექმნილი საინიციატივო ჯგუფისა, რომელიც სათავეში ჩაუდგა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთში დიდი სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებას.



გაიხსნა ნოვოსიბირსკის რომლის პირველი რექტორი 1965 წლის მარტის 1-ით იგი ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების პრეზიდიუმი, რომლის წევრი ი. ვეკუა იყო. ამავე წელს ი. ვეკუა აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1959 წ. ნოვოსიბირსკის მახლობლად, აკადემ-ქალაქი სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1965 წლამდე ი. ვეკუა იყო. შეთავსებით იგი ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების პიდროდინამიკის ინსტიტუტის თეორიულ განყოფილებას.

1965 წლის გაზაფხულზე საქართველოს სსრ ხელმძღვანელი ორგანოების მოწვევით ი. ვეკუა დაბრუნდა მშობლიურ საქართველოში. ჯერ მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიაში, 1965-დან 1972 წლამდე იყო თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ხოლო 1972 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. ამ პოსტზე მან თავისი მასწავლებელი ნიკო მუსხელიშვილი შეცვალა. 1966 წელს უნივერსიტეტის შეიქმნა გამოყენებითი მათემატიკის პრობლემური ლაბორატორია, რომლის ბაზაზე მოგვიანებით ჩამოყალიბდა გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, რომლის დირექტორი ი. ვეკუა იყო.

1957 წელს შეიქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილება. 1958 წლის მარტში, მ. ლავრენტიუვის თავმჯდომარეობით, აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების პრეზიდიუმი, რომლის წევრი ი. ვეკუა იყო. ამავე წელს ი. ვეკუა აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1959 წ. ნოვოსიბირსკის მახლობლად, აკადემ-ქალაქი სახელმწიფო უნივერსიტეტი,

მისი გარდაცვალების შემდეგ ინსტიტუტს იღია ვეკუას სახელი მიენიჭა.

ი. ვეკუა საუკეთესო მოქალაქეობრივი და სულიერი თვისებებით გამოირჩეოდა. ხშირად აღტაცებას და გაპვირვებას იწვევდა მისი მტკიცე, ვაჟაცური და თავშეკავებული ქცევა რთულ მდგომარეობაში. მძიმე, უკურნებელი სენიორ დაავადებული მეცნიერი შეუპოვრად განაგრძობდა კვლევა-ძიებით მუშაობას დრეკად გარსთა მათუმატიკური თეორიის ახალი ვარიანტის შესაქმნელად, რომელიც შევიდა მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში – „გარსთა თეორიის სხვადასხვა ვარიანტის აგების ზოგიერთი ზოგადი მეთოდი“ (მოსკოვი, 1982 წ.), რომელსაც 1984 წ. სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ამ მონოგრაფიის ინგლისური თარგმანი 1985 წ. გამოსცა გამომცემლობა „პიტმანმა“.

ი. ვეკუას სამეცნიერო შრომებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. იგი იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის (ქ. ბერლინი), გერმანიის საბუნებისმეტყველო აკადემია „ლეოპოლდინას“ (ქ. ჰალე), პალეორმოს (სიცილიის მეცნიერებათა აკადემია) მეცნიერების, ლიტერატურისა და სელოვნების აკადემიის, პოლონეთის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საზოგადოების, გამოყენებითი მათემატიკისა და მექანიკის დანიის ცენტრის და სხვა სამეცნიერო საზოგადოების უცხოელი წევრი. არჩეული იყო თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საერთაშორისო კავშირის გენერალური ასამბლეის წევრად. მინიჭებული პქონდა ჰალეს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორისა და იენის უნივერსიტეტის საპატიო სენატორის წოდებები.

დიდად დაფისდა ი. ვეკუას ლვაწლი. მის მრავალჯილდოს შორის აღსანიშნავია სოციალისტური შრომის

გმირის ოქროს ვარსკვლავი და ხუთი ლენინის ორდენი, რომლებიც საბჭოთა კავშირში უმაღლესი ჯილდოები იყო.

1967 წელს მოსკოვში, ნოვოსიბირსკსა და თბილისში აღინიშნა ი. ვეკუას დაბადებიდან 60 წლის იუბილე. ამ თარიღთან დაკავშირებით გამოიცა გ. მანიასა და ბ. ხვედელიძის წიგნი „ილია ვეკუა“, საქართველოს ტელევიზიამ კი სპეციალური გადაცემა მიუძღვნა, რომელიც მიჰყავდა ა. გორგიძეს.

დიდი მეცნიერის, აკად. ილია ვეკუას შემოქმედებითი გზა იშვიათად ყოფილა ია-გარდით მოვენილი. მას ცხოვრებაში არაერთხელ შეხვედრია სერიოზული წინააღმდეგობები და სიძნელეები.

ერთი შეხედვით უცნაურია, რომ ეს დიდი მეცნიერი სწორედ მისი ცხოვრების მძიმე პერიოდებში აღწევდა უდიდეს შემოქმედებით წარმატებებს, რაც ბრწყინვალე ნიჭები და ნებისყოფის განსაკუთრებულ სიძლიერეზე მეტყველებს.

გარდაცვალებამდე (1977 წლის 2 დეკემბერი) რამდენიმე თვით ადრე ილია ვეკუამ დაწერა „მიმართვა ახალგაზრდობისადმი“, სადაც ნათქვამია: „მეცნიერული მუშაობის წარმატების უზრუნველსაყოფად მთავარია სამი რამ: ნიჭი, მუშაობის უნარი და შერჩევლი დარგის სიყვარული. ადამიანს ცხოვრების გზაზე თითქმის ყოველთვის მრავალი ცდუნება ელოდება. კერძოდ, ესაა სურვილი, ერთი შეხედვით სავსებით ბუნებრივი, ცხოვრების პირობების კეთილდღეობისა – პქონდეს ხეირიანობინა, კარგი ხელფასი, მანქანა, თანამდებობა და მრავალი სხვა. მეცნიერებაში წარმატებებს მიაღწევს მხოლოდ ის, ვისაც უსაზღვროდ უყვარს თავისი დარგი, ვინც ყველაფერზე მაღლა დააყენებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და შემოქმედების სფეროში წარმატების მოპოვებას დაუქმენდებარებს ყველა სხვა ინტერესს. ვინც ასე

მოიქცევა და წარმატებებსაც მიაღწევს, მისთვის ცხოვრების სხვა მხარეები თანდათანობით მოგვარდება და გაცილებით უკეთ, ვიდრე შეიძლება, მას ახალგაზრდობის დროს ესახებოდა, ოდონდ ამისათვის საჭიროა დრო და მოთმინების დიდი უნარის გამომუშავება, კერძოდ, სულის მდრღნელი შურიანობის დაძლევა“.

ეს იყო დიდი ილია ვეგუას ანდერძი, რომელიც მან დაუტოვა საქართველოს ახალგაზრდა თაობას.

ი. ვეგუა გარდაიცვალა 1977 წლის 2 დეკემბერს. მადლიერმა ქართველმა ხალხმა იგი საქართველოს დირსეულ შვილთა სავანეს – მთაწმინდის მიწას მიატარა.

ИЛЬЕ ВЕКУА – 110 ЛЕТ

Выдающийся грузинский математик-механик, член Академии наук СССР, Герой социалистического труда, Президент Академии наук Грузии, доктор физико-математических наук, профессор, Илья Векуа, родился 23 апреля 1907 г. в с. Шешелети Гальского р-на.

В 1925 г., окончив среднюю школу, И. Векуа поступил на физико-математический факультет Тбилисского государственного университета.

В 1930 г. И. Векуа поступил в аспирантуру Ленинградского университета. Окончив аспирантуру, в 1933 г. И. Векуа возвращается в Тбилиси и начинает работать на физико-математическом факультете Тбилисского государственного университета. Он читает лекции по многим отраслям современной математики.

В 1937 г. И. Векуа защитил кандидатскую диссертацию и был избран доцентом Тбилисского государственного университета. В 1939 г. он с успехом защитил докторскую диссертацию.

В 1944 г. И. Векуа избирается членом-корреспондентом, а в 1946 г. действительным членом Академии наук Грузии. В том же 1946 г. его избирают членом-корреспондентом, а в 1958 г. действительным членом Академии наук СССР. В 1940-1944 гг. И. Векуа был деканом физико-математического факультета ТГУ.

В 1944-1947 гг. он был проректором университета по научной части, а в 1947-1951 гг. – зав. кафедрой высшей математики.

В 1948 г. И. Векуа опубликовал фундаментальный труд «Новые методы решения эллиптических уравнений», за который в 1950 г. ему была присуждена Государственная премия СССР.

В 1960 г. он получил Ленинскую премию за монографию «Теория обобщенных функций».

В 1951 г. И. Векуа уехал в Москву и там продолжил свою научную деятельность. В 1952 г. он стал профессором кафедры дифференциальных уравнений МГУ им. Ломоносова и проработал там до 1958 г.

В 1959 г. И. Векуа стал первым ректором новооснованного Новосибирского университета. Он был членом редколлегии Сибирского математического журнала и Вестника Академии наук СССР, зав. теоретическим отделением Института гидродинамики Сибирского отделения Академии наук СССР и т.д.

И. Векуа вернулся в Тбилиси в 1964 г. В 1966-1972 гг. он был ректором Тбилисского государственного университета. В 1966 г. при университете была создана лаборатория проблем прикладной математики, на базе которой позже сформировался Институт прикладной математики, который возглавил И. Векуа. После смерти И. Векуа его имя было присвоено институту.

В 1972 г. И. Векуа избрали Президентом Академии наук Грузии. Он сменил на этом посту своего учителя Н. Мусхелишвили.

Илья Векуа скончался 2 декабря 1977 г. Он похоронен на территории Мтацминдского Пантеона писателей и общественных деятелей.

Ilia Vekua, a prominent Georgian mathematician and specialist in mechanics, a member of the Academy of Sciences of the USSR, Hero of Socialist Labor, President of the Georgian Academy of Sciences, Professor, was born in the village of Shesheleti, Gali Region, on 23 April 1907.

In 1925 I.Vekua entered the Department of Physics and Mathematics at Tbilisi State University.

In 1930 he began postgraduate studies at Leningrad State University. Having finished his postgraduate studies, I. Vekua returned to Tbilisi in 1933 and began working at the Department of Physics and Mathematics at Tbilisi State University. He rendered lectures in many branches of mathematics.

In 1937 I. Vekua defended his candidate's thesis and was elected an assistant professor at Tbilisi State University. In 1939 he defended the doctor's thesis.

In 1944 I. Vekua was elected a corresponding member, and in 1946 – a member of the Georgian Academy of Sciences. In the same 1946 he was elected a corresponding member, and in 1958 – a member of the Academy of Sciences of the USSR.

In 1940-1944 I. Vekua was a dean of at the Department of Physics and Mathematics at Tbilisi State University. In 1944-1947 he was a vice-rector of the university. In 1947-1951 he was the head of the Department of Higher Mathematics.

In 1948 I. Vekua published a fundamental work *New Methods of Solving Elliptic Equations*, for which he was awarded the State Prize of the USSR in 1950. In 1960 he was awarded Lenin Prize for the monograph *The Theory of Generalized Functions*.

In 1951 I. Vekua left for Moscow, where his scientific activity continued. In 1952 he became a professor of the Department of

Differential Equations of Lomonosov Moscow State University and worked there till 1958.

In 1959, I. Vekua was appointed the first rector of newly founded Novosibirsk State University. He was a member of the editorial board of Siberian Mathematical Journal and the Bulletin of the Academy of Sciences of the USSR, the head of the theoretical department of the Institute of Hydrodynamics of the Siberian Branch of the Academy of Sciences, etc.

In 1964 I. Vekua returned to Tbilisi. In 1966-1972 he was the rector of Tbilisi State University. In 1966 a laboratory of applied mathematics was established. Later, on its base, the Institute of Applied Mathematics was formed. The Institute was headed by I. Vekua. After I. Vekua's death, the Institute of Mathematics was given his name.

In 1972 Ilia Vekua was elected the President of the Georgian Academy of Sciences. On this post, he replaced his teacher N. Muskhelishvili.

Ilia Vekua died on 2 December 1977. He was buried on the territory of the Mtatsminda Pantheon of Writers and Public Figures.

ԱՀԱՅԻՆ ՑՐՑՑՈՒՅՑ



„ԿՎԵԼԱՑ քունո Խոլովու յրտեցը ծագեցնու և օշականու
շմի՞զը լուսած և յաշուրած ջակերշլցիամ...“

A handwritten signature in black ink, appearing to read "Արամ Մանուկյան".

გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი და მექანიკოსი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი ფუძემდებელი და საინჟინრო კადრების თავდაღებული აღმზრდელი, პროფესორი ალექსი გორგიძე დაიბადა 1907 წლის 17 მაისს ქ. ქუთაისში. მშობლების ადრე გარდაცვალების გამო, მისი აღზრდა ბაბუამ იტვირთა. მან პატარა ალექსი თავიდანვე მიაჩვია შრომას. ბავშვობიდან შრომის სიყვარული და დროის რაციონალურად გამოყენების ჩვევა, დამოუკიდებელმა და მატერიალურად მძიმე ცხოვრებამ რომ ასწავლა ახალგაზრდობის წლებში, მომავალ მეცნიერს მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვა.

ბატონმა ალექსიმ 1924 წელს დაამთავრა ქუთაისის პირველი სოციალურ-ჰუმანიტარული ტექნიკუმი, რომელიც 1922 წელს ქუთაისის რეალური სასწავლებლისა და კლასიკური გიმნაზიის გაერთიანების ბაზაზე დაარსდა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე.

სტუდენტობის პერიოდში ალექსი გორგიძეს წილად ხვდა ბედნიერება, მოესმინა მეცნიერების ისეთი კორიფეუბისათვის, როგორებიც იყვნენ: ანდრია რაზმაძე – ინტერალური აღრიცხვისა და მათემატიკური ანალიზის შესავალი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი – თეორიული მექანიკა, ივანე ჯავახიშვილი – საქართველოს ისტორია, კორნელი კეკელიძე – ქართული ლიტერატურა, აკაკი შანიძე – ქართული ენა, დიმიტრი უზნაძე – ფიქოლოგია, შალვა ნუცუბიძე – ფილოსოფიის შესავალი.



ა. გორგიძის ოჯახი

დგანან, მარცხნიდან: იასონი (მამა), დესპინე (დედა),
სხედან, მარცხნიდან: ივანე (ბაბუა), პასიკო (ბებია) თამარი და
მარიამი (დები), ალექსი, 1914 წ.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მცირე სწიო,
ალექსი გორგიძე მუშაობას იწყებს გორის სასოფლო-
სამეურნეო ტექნიკურში, მასწავლებლად. შემდეგ კი პერს-
პექტიული და იმედის მომცემი ახალგაზრდა მკვლევარი
მუშაობდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ
მას არ შეუწყვეტია მეცნიერული მუშაობა. სულ მალე
ნიკო მუსხელიშვილმა, რომელიც ამ პერიოდში საქართვე-
ლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეორიული მექანიკის

კათედრას ხელმძღვანელობდა, თავისი მოწაფე კათედრის ასისტენტად მიიწვია.



ალექსი გორგიძე და ლუსია გორგიძე (მეუღლე)

1932 წლის შემოდგომაზე, სხვა ნიჭიერ მათემატიკოსებთან ერთად, ალექსი გორგიძე მიავლინეს ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, სადაც იგი გამოჩენილი მათემატიკოსის ვლადიმერ სმირნოვის და ახალგაზრდა მეცნიერის, სოლომონ მიხლინის ხელმძღვანელობით უსყვლება გამოყენებითი მათემატიკისა და მექანიკის თანამედროვე მიმართულებებს. ასპირანტურაში სწავლის დროს ალექსი გორგიძემ გამოაქვეყნა

პირველი მეცნიერული შრომები დრეკადობის მათემატიკურ თეორიაში.

1934 წელს ჟურნალში „Доклады АН СССР“ გამოქვეყნდა ნაშრომი „Метод последовательных приближений в применении к плоской задаче теории упругости“.



ა. გორგიძე მეუღლესთან და ვაჟიშვილ
დ. გორგიძესთან ერთად

ასპირანტურის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1935 წელს, ა. გორგიძე ბრუნდება თბილისში და იკავებს დოცენტის თანამდებობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ამასთან ერთად, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე მუშაობას იწყებს თბილისის მათემატიკის

ინსტიტუტში, რომლის დაარსებასა და განმტკიცებაში
მან აქტიური მონაწილეობა მიიღო.

1937 წელს ა. გორგიძემ წარმატებით დაიცვა დისერ-
ტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის
ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „მიმდევრობითი მიახ-
ლოების მეთოდის გამოყენება დრეკადობის თეორიაში“.
ამავე წელს იგი ასრულებდა პროფესორის მოვალეობას
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეორიული
მექანიკის კათედრაზე, რომელსაც აკადემიკოსი ნიკო მუხ-
ხელიშვილი ხელმძღვანელობდა. 1938 წლიდან, თვით ბა-
ტონი ნიკოს წარდგინებით, იგი სათავეში ჩაუდგა ამ კა-
თედრას, რომელსაც 50 წელზე მეტხანს დირსეულად და
თავდადებით ხელმძღვანელობდა. პარალელურად ა. გორ-
გიძე მოდგაწეობდა ანდრია რაზმაძის სახელობის მათე-
მატიკის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის,
სწავლული მდივნის, ხოლო 1940–1954 წლებში დირექტო-
რის – აკადემიკოს ნიკო მუხხელიშვილის მოადგილის
თანამდებობაზე.

ალბათ ამიტომ წერს თავის ერთ-ერთ მოგონებაში
ბატონი ალექსი გორგიძე: მინდა „აღვნიშნო ის უდიდესი
ლგაწლი, რაც ბატონ ნიკოს ჩემი მეცნიერული გზის
ჩამოყალიბებაში და საერთოდ ჩემს ცხოვრებაში მიუძღ-
ვის. ჯერ იყო და სრულიად ახალგაზრდა კაცი ასისტენ-
ტად მიმიწვია თეორიული მექანიკის კათედრაზე პოლი-
ტექნიკურ ინსტიტუტში, შემდგომ მისივე რეკომენდაციით
მივლინება ლენინგრადის უნივერსიტეტის ასპირანტურაში
და, ბოლოს, დისერტაციის დაცვის შემდეგ, 1938 წელს
მან თავისი თეორიული მექანიკის კათედრა ჩამაბარა
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ამის გარდა 14 წელიწადს
მე ვიყავი მისი მოადგილე მათემატიკის ინსტიტუტში და
მისი ხანგრძლივი მივლინებების დროს ფაქტობრივად
წარვმართავდი ინსტიტუტის საქმიანობას. ამასთანავე,

დაწებული ჩვენი აკადემიის შექმნის დღიდან, პარალელურად მე გასრულებდი პრეზიდენტის თანაშემწის ფუნქციას რიგი წლების განმავლობაში“.


ამ თანამდებობაზე ალექსი გორგიძის მოღვაწეობის შესახებ აკადემიკოსი გიორგი ჭოდოშვილი იხსენებს: „სრულიად შესანიშნავ, სრულიად უნიკალურ პიროვნებასთან გვაქვს საქმე ალიოშა გორგიძის სახით... ის იყო სამაგალითო მეგობარი და ადამიანი. მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის თანამდებობის დროს დირექტორის, ნიკო მუსხელიშვილის, არყოფნისას სხვადასხვა სხდომას ის უძღვებოდა ხოლმე და ამას აკეთებდა დაკვირვებით, დინჯად, ტაქტიანად, მარჯვედ ახერხებდა კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვას.“

საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობასთან ერთად ალექსი გორგიძე ყოველთვის პოულობდა დროს შემოქმედებითი მეცნიერული მუშაობისათვის.

ალექსი გორგიძის სამეცნიერო მოღვაწეობის მთავარი თემატიკა იყო დრეკადობის მათემატიკური თეორიის საკითხები.

„აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1937 წელს ნ. მუსხელიშვილმა დაასრულა შესანიშნავი სტატიების სერია ბრტყელი დრეკადობის თეორიის ამოცანების სასაზღვრო ინტეგრალური განტოლებების კვლევის შესახებ. შრომები ეძღვნებოდა ამოცანების რიცხვით ამოხსნას მის მიერ მიღებული განტოლებების მეშვეობით. ამ სამუშაოს უძლიერესმა სამეცნიერო პოტენციალმა შთააგონა მისი უშუალო მოსწავლეები ალ. გორგიძე და ა. რუხაძე ამ ამოცანათა რიცხვითი ამოხსნის რეალიზებისათვის. მათი ნაშრომები, რომლებიც გამოქვეყნდა 1940 წელს, შეიცავს იმ მეთოდის ყველა კომპონენტს, რომელიც ცნობილია „სასაზღვრო ელემენტების მეთოდის“ სახელით. 1940 წელს ალ. გორგიძემ (ა. რუხაძის თანაავტორობით) გამოაქვეყნა

ნაშრომები, რომლებიც ეძღვნებოდა ბრტყელი დრეკადობის თეორიის ამოცანის ინტეგრალური განტოლებების თანამიმდევრული მიახლოების მეთოდის გამოყენებას“ (ს. ქრაუჩი, ა. სტარფილდი).



BOUNDARY ELEMENT METHODS IN SOLID MECHANICS

with applications in rock mechanics
and geological engineering

S. L. Crouch, A. M. Starfield
Department of Civil and Mineral Engineering,
University of Minnesota,
Minneapolis, Minnesota 55455, USA

GEORGE ALLEN & UNWIN 1983
London·Boston·Sydney

ა. გორგიძემ შეისწავლა სხვადასხვა სახის ერთგვაროვანი და შედგენილი ძელების გრეხის, გაჭიმვა-პუმ-შეისა და დუნცის ამოცანები იმ შემთხვევისათვის, როცა ძელების შემადგენელ მასალათა პუასონის კოეფიციენტები ერთნაირია. მასვე კუთვნის დრეკადობის კვადრატულ თეორიაში პრიზმულთან მიახლოებული და ცილინდრული ძელების, აგრეთვე სხვადასხვა მასალისაგან შედგენილი პრიზმული ძელების გრეხის, გაჭიმვისა და დუნცის ამოცანების ამოხსნა; ამ დეფორმაციათა, როგორც მეორეული ეფექტები, ისე დეფორმაციების ურთიერთგავლუნასთან დაკავშირებული წრფივი და არაწრფივი ამოცანების ამოხსნა იზოტროპული სხეულებისათვის (1943, 1955–1956 წლებში). ამ ამოცანების ამოხსნისას მან გამოყენა ერთგვაროვანი ძელებისათვის სენ-ვენანის კარგად ცნობილი პრობლემის განზოგადება, ვინაიდან ამ ამოცანებში ჩნდება დეფორმაციების ისეთი ეფექტები, რომელთა განჭვრება არ შეუძლია სენ-ვენანის გამარტივებულ თეორიას. არაწრფივი ამოცანების ამოხსნისას დე-

ფორმაციების როგორც მეორეული, ისე დეფორმაციების ურთიერთგავლენასთან დაკავშირებული ეფექტი, არის კვადრატული თეორიით ნაკარნახები ეფექტი, რომელიც ემატება წრფივი თეორიით მიღებულ შედეგს.

ა. გორგიძემ 1941–1942 წლებში შეისწავლა მეორეული ეფექტები, რომლებიც გვხვდება შედგენილი ცილინდრული ძელების დუნვის ამოცანებში, ხოლო 1942–1946 წლებში შედგენილი ძელების გაჭიმვის, გრეხის და წყვილძალით დუნვის მეორეული ეფექტები. მან დეკარტეს კოორდინატებით ამოხსნა დაგრეხილი დეროს წყვილძალით დუნვის ამოცანა.

1947–1960 წლებში ა. გორგიძის მეცნიერული მოღვაწეობის ძირითადი თემატიკა იყო პრიზმულთან მიახლოებული, ასევე ოდნავ კონუსური და ბუნებრივად დაგრეხილი ძელების დეფორმაციის ამოცანების შესწავლა. მან გამოიკვლია პრიზმულთან მიახლოებული შედგენილი ძელების გაჭიმვისა და გრეხის (1947), გრეხისა და დუნვის (1948), წყვილძალით დუნვის (1948) ამოცანები; აგრეთვე ბუნებრივად დაგრეხილი დეროებისათვის გაჭიმვისა და წყვილძალით დუნვის (1952), გაჭიმული ძელის განივი ძალით დუნვის (1953), გაჭიმული ძელის გრეხის (1969), ასევე განივი ძალით დუნვისა (1955) და გრეხის (1958) მეორეული ეფექტების ამოცანები. შეისწავლა ოდნავ კონუსური ძელების დეფორმაციის ამოცანა დუნვის მეორეული ეფექტების გათვალისწინებით (1960), გაჭიმული ძელის წყვილძალით დუნვის (1961), გაჭიმული ძელის გრეხის (1963), ასევე გრეხისა და წყვილძალით დუნვის (1970) ამოცანები.

შემდგომ კვლევებში მიღებული შედეგები უფრო დააზუსტა და განაზოგადა – გაართულა დატვირთვის სქემა და ისე შეისწავლა სხვადასხვა მასალისაგან დაზადებული ძელების დეფორმაციის მეორეული ეფექტები

(1957–1963). აჩვენა, რომ სხვადასხვა დატვირთვის ურთიერთმოქმედების ეფექტი არსებითია თხელი პროფილის (თვითმფრინავის ხრახნის პროფილის) გრძელი სხეულებისათვის.

ა. გორგიძის მიერ ამ დარგში მიღებულ შედეგებს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

60-იანი წლების დასაწყისში ი.ვეკუამ ქ. ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტში სამუშაოდ მიიწვია ა. გორგიძე, მაგრამ მიზეზთა გამო ბატონი ალექსი ვერ წავიდა.

1960 წელს ა. გორგიძე მიწვეული იყო ინგლისის სამეცნ საზოგადოების მექანიკის ინსტიტუტში.

1962 წელს ალექსი გორგიძეს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება, ხოლო 1967 წელს – საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოდგაწისა.

ქართული მათემატიკური სკოლის კორიფეუბი, აკადემიკოსები ნ. მუსხელიშვილი და ო. ვეკუა, უდიდეს შეფასებას აძლევდნენ პროფესორ ა. გორგიძის სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგებს.

